ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/05

დაბა ქედა,

26 აპრილი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:50 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 აპრილი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №g-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელი: ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს
დირექტორი: აიშე თებიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240866-95, 26.03.2024 წელი) და განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტზე 2024 წლის 29 მარტიდან მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (განკარგულების რეგისტრაციის ნომერი: №გ-95.95240892, 29.03.2024 წელი), საკითხი 23 აპრილს განხილული იქნა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილი იყო აღნიშნული კომისიის დასკვნაც (კომისიის დასკვნა: №დ95.95241152, 24.04.2024 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენად მართებული იყო მეორე კატეგორიაში მყოფი საჯარო მოხელის კონკურსის წესით პირველ კატეგორიაში გადაყვანა, მაშინ როდესაც მოქმედი საჯარო მოხელე დაწინაურებამდე სამსახურის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროცედურების გავლა საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ხდებოდა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -2 (ჯემალ დავითაძე და გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:4, 26.04.2024 წელი).

2. მოისმინეს: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის Nგ-

95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის Nგ-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95241165, 25.04.2024 წელი.) და განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე აღარ დამტკიცებულიყო, რადგანაც, წარმოდგენილი საკითხი ნორმატიული აქტის ნაცვლად უნდა დარეგულირდეს ,,„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. ე“ ქვეპუნქტის მიხედვით. რომლის თანახმად, მერი არის უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი“.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი -2 (ჯემალ დავითაძე და გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95241174 , 26.04.2024 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95241142-95, 23.04.2024 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების - სასმელი წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხების აღსადგენად შეძენილი პოლიეთილენისა და გოფრირებული მილები. საერთო ჯამში 11912 გრძივი მეტრი, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 31664,2 (ოცდათერთმეტი ათას ექვსას სამოცდაოთხი ლარი და ოცი თეთრი) ლარს, შპს „ქედის წყალკანალი“-სათვის უსასყიდლო საკუთრების უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

აღნიშნული ქონების შპს „ქედის წყალკანალი“-ზე გადაცემის მიზანია ორგანიზაციამ დროულად მოახდინოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ახო, ვარჯანისი, შევაბური, ზედა მახუნცეთი და ქვედა მახუნცეთი) დაზიანებული სასმელი წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხების აღსადგენა, დაცვა, უკეთ მოვლა-შენახვა, მომსახურებისა და ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ არ მოხდა აღნიშნული მილების ელ. ტენდერით შესყიდვა. რაზედაც მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ ტენდერით შესყიდვის პროცედურებს ორ თვე მაინც დაჭირდებოდა, ამიტომაც ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე, კანონმდებლობის გათვალისწინებით, პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებით მოკლე ვადებში იქნა შესყიდვა. აქვე აღნიშნა, ხელშეკრულების დადებისას ბაზრის კვლევის შესწავლის შემდეგ ფასწარმოქმნის ყველა დოკუმენტი იქნა წარმოდგენილი.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი -2 (ჯემალ დავითაძე და გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95241173 , 26.04.2024 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №12-95241133-95, 22.04.2024 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის იგეგმებოდა ,,აჭარის წყლის ალიანსი"-ს პროექტის განხორციელება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი დაფინანსებული იყო მსოფლიო ბანკის მიერ და აუცილებლად განხორციელდებოდა, თუმცა ვერ ეტყოდა როდის.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის დაიწყებდა ქედის სამარშუტო ხაზზე მუშაობას ქედის მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებული ავტობუსი, რაზედაც მომხენებელმა განმარტა, რომ რადგანაც ქედის მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა საქალაქთაშორისო სატრანსპორტო სამუშაო პროცესში ჩარევის უფლება, ამიტომაც აღნიშნული საკითხი დღემდე არ იქნა სისრულეში მოყვანილი და მიმდინარეობს მუშაობა.

საკრებულოს წევრმა ჯიმშერ სამნიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ შეწყდა სოფელ პირველ მაისში სარწყავი არხების ექსპლუატაცია, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხს ვერ გასცემდა, რადგანაც ხელშეკრულებით დაკისრებული ორგანიზაცია იყო ამ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი და სარწყავი არხები მუნიციპალიტეტის ექპლუატაციის ქვეშ არ იმყოფებოდა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი -1 (ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
(განკარგულება N: გ-95.95241172 , 26.04.2024 წელი).

5. მოისმინეს: 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ში არსებული ინფორმაცია.

მომხსენებელმა ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორმა აიშე თებიძემ საკრებულოს წარუდგინა 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაცია (წერილის ნომერი: №06/95241022-95, 11.04.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, ვინ აწარმოებდა ქედის მუნიციპალიტეტის ბაღებში ჰასპის პროგრამის კონტროლს, რაზედაც მომხსენებელმა აიშე თებიძემ განმარტა, რომ ქედის ბაგა-ბაღებში ჰასპის პროგრამის კონტროლი ლალი შამუგიას ორგანიზაციის მიერ ხდებოდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორს აიშე თებიძეს გაწეული საქმიანობისათვის და იქვე დაამატა, რომ კარგი იქნებოდა სამომავლოდ ფსიქოლოგის შეყვანა ბაღებში, რაზედაც აიშე თებიძემ განმარტა, რომ ძალიან რთული იყო კვალიფიციური კადრის მოძიება, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული საკითხის მოგვარება გათვალისწინებულ იქნას სამომავლოდ.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ არსებობს ქედაში ისეთი ბაგა-ბაღი სადაც ბავშვების რაოდენობა ჭარბია და ფართი პატარა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ფართის სიმცირე არცერთ ბაგა-ბაღში არ აქვს და პირიქით ბავშვების ნაკლებობა იყო.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაცია.
(განკარგულება N: გ-95.95241171 , 26.04.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:50 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე